სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**კულტურის და მედიის სოციოლოგია** Sociology of Culture and Media
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სოციოლოგიის დოქტორი** PhD in Sociology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 აკადემიურ წელს. დოქტორანტურის სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოიცავს 30 კრედიტს (სასწავლო კომპონენტი). სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი - 30 ECTS, მათ შორის: **სავალდებულო სასწავლო კომპონენტი - 25 კრედიტი:** • დარგობრივი სემინარი - 15 კრედიტი; • პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი; • კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში-ემპირიული კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი. **არჩევითი სასწავლო კომპონენტი - 5 კრედიტი:** • პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი; • პერფორმანსის სოციოლოგია - 5 კრედიტი; • საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო სასწავლო კურს(ებ)ი - 5 კრედიტი. **სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს**: • სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1 • სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2 • სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3 • სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიზანია მისი სადისერტაციო კვლევის ცალკეული

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ასპექტის წარდგენა სადოქტორო პროგრამის სპეციალიზებული სექციის სხდომაზე.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**ამირან ბერძენიშვილი,** ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; **ლია წულაძე,** სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	1. პროგრამაზე დაიშვებიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულები, მაგისტრის ან გათანაბრებული ხარისხის მქონე, საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომის მფლობელი პირები, რომლებიც სოციალური თეორიის და მეთოდების (რაოდენობრივი და თვისებრივი) სათანადო კომპეტენციას ფლობენ, რათა ემპირიული კვლევის წარმართვა და შესაბამისი სოციალური თეორიებით მისი გამყარება შეძლონ; 2. ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე; 3. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; 4. სადოქტორო - კვლევითი პროექტის წარმოდგენა (იხ. დანართი №1); 5. კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია **ან/და** სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა **ან/და** შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება; 6. გასაუბრება და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

	გასაუბრება სპეციალობაში არის 100 ქულიანი და წარმოადგენს აპლიკანტის საბოლოო შეფასების 100%-ს, საიდანაც 55 % არის სადოქტორო-კვლევითი პროექტის წონა, ხოლო 45 % - შეესაბამება გასაუბრების იმ ნაწილს, რომლის დროსაც ფასდება აპლიკანტის მოტივაცია; დარგობრივი კომპეტენციები; კრიტიკული აზროვნება, პრობლემის დასმის და საკითხის გადაჭრის უნარი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და აღწერა	**დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** დამოუკიდებელი და სრულფასოვანი მკვლევრების მომზადება კულტურის და მედიის სოციოლოგიის სფეროში, რომლებიც შეძლებენ: • დარგობრივი ცოდნის გამდიდრებას ორიგინალური თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვის შემოთავაზებით; • ახალი ცოდნის შექმნის მიზნით, ინოვაციური კვლევების განხორციელებას თვისებრივი და/ან რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, ან მათი ინტეგრირების გზით, ხოლო მიღებული შედეგების გავრცელებას და დანერგვას როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ასევე შრომის ბაზარზე; • მულტიდისციპლინური პერსპექტივის განვითარებას, მომიჯნავე სფეროების (კულტურის ანთროპოლოგია, კულტურის კვლევები, მედიის კვლევები, კულტურის ფსიქოლოგია და სხვ.) უახლესი მონაცემების ინტეგრირების საფუძველზე; • სწავლების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის (ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურები) საკუთარი ცოდნის გადაცემასა და კომპეტენტური კადრების მომზადებას; მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებასა და საზოგადოების წინსვლაში შესაბამისი წვლილის შეტანას. **პროგრამის აღწერა** თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციოკულტურული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტზე; მასმედიის საშუალებები, განსაკუთრებით ახალი მედია, ამ ცვლილებების განხორციელების უმთავრესი ბერკეტია. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ,

	თუ ადრე სოციალური პარადიგმების ცვლილებას საუკუნეები სჭირდებოდა, დღეს მათ ცვლილებას შესაძლოა მხოლოდ ათწლეულები დასჭირდეს და ეს ფუნდამენტური ცვლილებები სოციალურ მეცნიერებაში არსებული ცოდნის მუდმივ განახლებას მოითხოვს. ამდენად, მსოფლიოს წინაშე არასდროს მდგარა სოციოკულტურული და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტრანსფორმაციების შესწავლის ისეთი საჭიროება, როგორც დღესაა. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, წვლილი შეიტანოს სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციების შესწავლაში (როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს მიღმა). ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე სოციოკულტურული ტრანსფორმაციების გათვალისწინებით, პროგრამის თემატიკა გამდიდრდა ევროპეიზაციის აქტუალური საკითხების კვლევით, რაც სხვადასხვა ასპექტში განიხილება, მედიის დისკურსებით დაწყებული და განათლების სისტემის ევროპეიზაციით დასრულებული, შესაბამისად, **პროგრამის შესაძლო საკვლევი თემატიკა** მოიცავს შემდეგ საკითხებს (თუმცა არ შემოიფარგლება მოცემული ჩამონათვალით): • კულტურული, სუბკულტურული და მულტიკულტურული იდენტობები თანამედროვე რეალობაში; • კულტურის შექმნის, შეთვისების და გადაცემის მექანიზმები ცვალებად პირობებში; • კულტურა, როგორც დისკურსი - კულტურის წვდომა ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის საშუალებით; მედია და კულტურის პრეზენტაცია ვიზუალური ხატების/იმიჯების გზით; • კულტურა, როგორც პერფორმანსი - კულტურის პრეზენტაცია გოფმანისეულ „წინა" და „უკანა რეგიონებში", საერთაშორისო და ადგილობრივი პუბლიკისთვის, აგრეთვე მედიის როლი ამ თვითპრეზენტაციაში; • ეროვნული იდენტობა და ნაციონალიზმი თანამედროვე პირობებში და მათი შინაარსის ტრანსფორმაცია მიმდინარე

	სოციოკულტურული ცვლილებების გავლენით; ნაციონალიზმი და რელიგია - ნაციონალიზმი, როგორც რელიგია; ნაციონალიზმის კულტურული პოლიტიკა და მედიის როლი მის გატარებაში; • თანამედროვე ტრანსფორმაციების გავლენა გენდერის კონცეპტის კულტურულ კონოტაციებზე და მედია, როგორც ამ გავლენების მედიუმი; • პოსტმოდერნული იდენტობები, როგორც „კულტურული ბრიკოლაჟის" შედეგი; მედია, როგორც „კულტურული ბრიკოლაჟის" მედიუმი; • პოსტმოდერნიზმი და ჰიპერრეალობა - მედია, როგორც ახალი სოციალური რეალობის კონსტრუირების საშუალება; • მედია, როგორც კულტურული და სოციალური ტექსტი და მისი ახალი შინაარსები ინფორმაციულ საზოგადოებაში; • რეკლამის სოციოკულტურული ფუნქციები; ერი, როგორც „ბრენდი" - მისი კულტურის სანახაობრივი ასპექტების რეკლამირება მედიის გზით; • მედია, როგორც სოციალური ზემოქმედების მექანიზმი: იდეოლოგია, ცენზურა და სოციალური აქტივიზმი ტრადიციული და ახალი მედიით; • ახალი ამბების მედია და ახალი მედია, როგორც „ძალაუფლების თამაშებში" ჩართული აქტორები და მათი გავლენა საზოგადოებრივ დისკურსებზე; • „პოლიტიკის კეთების" ტრანსფორმაცია ახალი მედიის ეპოქაში - მედიით გაშუალებული ხილვადობა და ელექტორალური პოლიტიკური კომუნიკაცია; • ევროპეიზაცია და მისი კულტურულ-სპეციფიკური ასპექტები. ევროპეიზაციის გავლენა ეროვნულ იდენტობასა და კულტურული ღირებულებების ტრანსფორმაციაზე. • ევროპეიზაციის გავლენა განათლების სისტემის ტრანსფორმაციაზე;

	• ევროპეიზაციის შესახებ დისკურსები: პოლიტიკური, პოპულარული და მედიის დისკურსები და მათი პერფორმატიული ფუნქცია.
სწავლის შედეგები	სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული აღწევს სწავლის შემდეგ შედეგებს: **ცოდნა და გაცნობიერება** ➢ კულტურის და მედიის სოციოლოგიაში თანამედროვე თეორიების *ცოდნა* და *ორიგინალური ინტერპრეტირება*, სისტემური და *კრიტიკული გააზრების* საფუძველზე; ➢ ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციოკულტურულ პროცესთა *კრიტიკული ანალიზი*, მათ შესასწავლად *ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა* და *განხორციელება* თვისებრივი და/ან რაოდენობრივი კვლევის მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების *ინოვაციური სინთეზით;* ➢ კულტურის და მედიის ფენომენების საკვლევად ინტერდისციპლინური და მულტიმეთოდური მიდგომის *სპეციფიკის გაცნობიერება* და *უპირატესობის აღიარება* ვიწრო დისციპლინურ ხედვასთან შედარებით; ➢ დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის საფუძველზე, *პრობლემის გადაჭრის* ორიგინალური ხედვის შეთავაზება და საკვლევ სფეროში არსებული *ცოდნის განახლებაში წვლილის შეტანა.* **უნარი** ➢ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, *კვლევის თითოეული ეტაპის დამოუკიდებლად დაგეგმვა*: საკვლევი ინსტრუმენტებისა და შესაბამისი კვლევის მეთოდების *დამოუკიდებლად შერჩევა-დასაბუთება*, მათი *ინოვაციური გამოყენება* და მიღებული მონაცემების სათანადო კოდირება, კატეგორიზაცია, *ანალიზი, სინთეზი, კრიტიკული შეფასება* და *ემპირიული მიგნებების ორიგინალური ინტერპრეტაცია;*

	➢ სოციოკულტურული პრობლემების *ახლებურად გააზრება* რთული ან წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზით და მათ საფუძველზე ახალი *კვლევითი ან ანალიტიკური მიდგომების შემუშავება;* მიღებული ცოდნის და უნარების სხვადასხვა სოციოკულტურულ გარემოში *გამოყენება*; ➢ ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან *შემოქმედებითი ინტეგრაცია* და *კვლევის შედეგების პუბლიკაციის სახით წარდგენა*, საერთაშორისო რეფერირებადი სტანდარტის შესაბამისად; ➢ დაგროვილი ექსპერტიზის საფუძველზე, საკვლევი თემატიკის შესაბამისი *სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადება* და *სასწავლო პროცესის წარმართვა* სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** ➢ *ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით,* საკუთარ და სხვათა აკადემიურ თუ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო აქტივობების *დაგეგმვა და განხორციელება;* ➢ რესპონდენტებთან ეთიკური და კორექტული ურთიერთობა, მათი კონფიდენციალობის დაცვა და *კვლევის ეთიკის ძირითადი პრინციპების ზედმიწევნით განხორციელება*; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა და დარგში *პროფესიული ღირებულებების დამკვიდრებისა და განმტკიცების ხელშეწყობა.*
სწავლება-სწავლის მეთოდები	**წიგნზე მუშაობის მეთოდი** - საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე საკუთარი ემპირიული კვლევისთვის თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება. **წერითი მუშაობის მეთოდი** - კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ჟანრის აკადემიური ნაშრომის სახით (არგუმენტირებული ესე, ანალიტიკური რეფერატი, რეცენზია და სხვ.); კვლევითი სემინარის და

	სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წერითი ფორმით წარდგენა (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად). **პრაქტიკული მეთოდები** - ემპირიული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა და მისთვის ადეკვატური კვლევის მეთოდების შერჩევა-გამოყენება, აგრეთვე მათი ორიგინალური სინთეზი (ინტერდისციპლინურობის და მულტიმეთოდურობის პრინციპების გათვალისწინებით). **დისკუსია–დებატები** - მომიჯნავე სფეროებით დაინტერესებულ დოქტორანტებთან დისკუსიების წარმართვა; სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტების დისკუსიებში ჩართვა და მათი მოდერაცია (პროფესორის ასისტენტობისას); კვლევის პროცესში ჯგუფური ინტერვიუს დამოუკიდებლად ჩატარება და მოდერაცია; დარგის სპეციალისტებთან დისკუსია-დებატების წარმართვა, საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე. **ჯგუფური მუშაობა** - გუნდური მუშაობის პრაქტიკა კვლევით პროექტებში მონაწილეობის, აგრეთვე სწავლების ქვედა საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის მცირემასშტაბური კვლევითი პროექტების დაგეგმვის და ხელმძღვანელობის გზით. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** - საკვლევი პრობლემის სწორად დასმა და მის გადასაჭრელად ადეკვატური საკვლევი ინსტრუმენტების შერჩევა; პრობლემის გადაჭრის არსებული გზების ინოვაციური ხედვით გამდიდრება. **შემთხვევის ანალიზი (Case Study)** - საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი რეგიონის და საზოგადოების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება სხვა შემთხვევების კონტექსტში. სილაბუსით გათვალისწინებული სხვა მეთოდები.
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

*შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.*

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება:

	ა) "summa cum laude" - "ფრიადი" – შესანიშნავი ნაშრომი – შეფასების 91-100 ქულა; **ბ)** "magna cum laude" - "ძალიან კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, შეფასების 81– 90 ქულა; **გ)** "cum laude - "კარგი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, შეფასების 71– 80 ქულა; **დ)** "bene" - "საშუალო" – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შეფასების 61–70 ქულა; **ე)**[1] "rite" - "დამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, შეფასების 51– 60 ქულა; **ვ)**[2] "insufficienter"-"არადამაკმაყოფილებელი" – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; შეფასების 41–50 ქულა; **ზ)** [3] "sub omni canone" - "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
დასაქმების სფეროები	სამთავრობო და არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ორიენტირებულია სოციოკულტურული ცვლილებების დინამიკის წვდომაზე; კულტურის და მედიის კვლევების და ზოგადად, სოციოლოგიის სასწავლო პროგრამების მქონე უმაღლესი სასწავლებლები; სამეცნიერო/კვლევითი ცენტრები, პოლიტიკური კონსულტაციის ცენტრები, მასმედიის საშუალებები, პრესცენტრები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის საფასური შეადგენს 1000 ლარს.

[1] „ა”-„ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

[2] მე-2 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი;

[3] „ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

	სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებიდან პროგრამაში მუდმივად ჩართული არიან: 1. ამირან ბერძენიშვილი, პროფესორი 2. ლია წულაძე, ასოცირებული პროფესორი სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებაში მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები; ასევე მოწვეული პროფესორები. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ✓ თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ✓ თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ✓ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ ✓ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ✓ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

	✓ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ და გაწერილია ფაკულტეტის ბიუჯეტში.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. სტუდენტმა (დოქტორანტმა): • უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. საჯარო დაცვაზე ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია, საკუთარი ნაშრომი ატვირთოს **პლაგიატის** დეტექციის პროგრამაში.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სადოქტორო პროგრამას შესაძლებლობა აქვს, მოემსახუროს 2 სტუდენტს. სადოქტორო პროგრამას აქვს ანალოგიები მსოფლიოს არაერთ ცნობილ უნივერსიტეტში, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მედიის, კულტურის და კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა ნიუ იორკის უნივერიტეტში, რომელიც თავისი მიდგომითა და აკადემიური ხედვით საკმაოდ ახლოსაა მოცემულ სადოქტორო პროგრამასთან: http://steinhardt.nyu.edu/mcc/doctoral/ თსუ-ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დოქტორანტს აქვს საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება. სახელდობრ, დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ორი სამეცნიერო

	პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკულ მეცნიერებათა

მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: კულტურის და მედიის სოციოლოგია

სწავლების საფეხური: მე-3 (დოქტორანტურა)

კრედიტების რაოდენობა: 30 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები /კოორდინატორი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი;

ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 24/02/2020; №: 20/2020 (დანართი № 252)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, ვადა და ბმული): № 8750; 22/12/2020 – 31/12/2028 https://eqe.ge/ka/decisions/11428/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2020 -2021 გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[4] ნომერი და თარიღი): №22/2022-11/03/2022; №33/2025-03/06/2025.

[4] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი													
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			გამოცდის დრო	დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/ სამუშაო	პრაქტიკული/ ლაბორატორ-							
1		დარგობრივი სემინარი	15	--	--	--	--	--	375	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
2		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
3		კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები[5]	5	30	--	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იაგო კაჭკაჭიშვილი ნინო დურგლიშვილი ლია წულაძე დავით სვანაძე ხათუნა მაისაშვილი თეონა მატარაძე რევაზ ჯორბენაძე

[5] ამ კურსის გასავლელად მნიშვნელოვანია დოქტორანტს ჰქონდეს ცოდნა, რომელიც შეესაბამება მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამაში შემოთავაზებულ სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები" გაწერილ კომპენტენციებს . თუ მას შესაბამისი კომპენტენცია არ გააჩნია, მაშინ ის შესაბამისი

													ალექსანდრე კუხიანიძე კორნელი კაკაჩია
არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი													
5		პროფესორის ასისტენტობა	5	--	--	--	--	--	125		✓	✓	დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ან სხვა სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი
6		პერფორმანსის სოციოლოგია	5	15	15	--	2	93	125			✓	ლია წულაძე
7		საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურს(ებ)ი[6]	5	--	--	--	--	--	125		✓	✓	
კვლევითი კომპონენტი													
1		სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 1											
2		სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 2											
3		სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 3											
4		სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.											

პროგრამის ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

პროგრამის მაგისტრატურის საფეხურზე გადის ზემოხსენებულ კურსს და შემდეგ ირჩევს სასწავლო კურსს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში.

[6] შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების **დანართი №1,**
განაცხადის ფორმა

სადოქტორო - კვლევითი პროექტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი: _____

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა: _____

სადოქტორო-კვლევითი პროექტის სათაური: _____

ა) საკვლევი თემა: _____
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები ან/და ჰიპოთეზები.

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა.
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია, კვლევის განხორციელების ეტაპები და მოსალოდნელი შედეგები.
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი და ამოცანები).

სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა: _____

თარიღი: ____ _____ _____